ОТДАЛЕННЫЕ РЕЗУЛЬТАТЫ МОДИФИЦИРОВАННОЙ МЕТОДИКИ КЕСАРЕВА СЕЧЕНИЯ

Н. Черкезишвили, И. Рухадзе, Д. Джинчарадзе

Тбилисская медицинская Академия им. П. Шотадзе

Принята 21.08.2009

В предложенной статье приводится анализ отдаленных результатов (по прошествии 3-4-х лет) 104 женщин, из них 84-ем была произведена операция кесарева сечения по методике, предложенной проф. А. Коридзе.

Исследованные пациенты разделены на две группы: в I вошли 84 женщин – основная группа, которым операция была проведена по модифицированной методике, а контрольную группу составили 20 женщин, которым операция была проведена по методике Гусакова-Занченко. В свою очередь, основная группа была подразделена на две подгруппы, в I вошли 54 женщин, которым операция была проведена однократно, а во вторую – 30, которым кесарево сечение было проведено два раза.

С целью оценки состояния рубца на матке, наряду с подробным клиническим исследованием, всем пациентам проводилось ультразвуковое обследование нижнего маточного сегмента.

Анализ полученных результатов показал, что после проведения кесарева сечения по предложенной модификации толщина рубца остается нормальной, а рубец – полноценный. Соответственно, последующие роды допустимы через естественные родовые пути.

Ключевые слова: модифицированный метод, кесарево сечение, полноценный рубец

Проблема отдаленных результатов кесарева сечения изучена недостаточно. Возрастающее число женщин с рубцом на матке, планирующих впоследствии роды, требует совершенствования методов диагностики состояния нижнего маточного сегмента. Не существует единого мнения о том, зависит ли состояние рубца от времени, прошедшего после операции, и об оптимальном сроке наступления следующей беременности.

По данным ряда авторов [1, 2], боль различной локализации отмечается у 17,1% женщин, а смещение матки за счет спаечного процесса и сращения с передней брюшной стенкой – в 6,6% случаев. Хронические аднекситы и нарушения менструального цикла наблюдаются в 3,8%.

Е.А. Чернуха, Д.М. Белоусов, Л.М. Комиссарова [3] указывают, что репродуктивная функция после повторного кесарева сечения сохраняется лишь у 40%

ЭКЗЕМПЛЯР ОБЕЗЛИЧЕНОЕ

женщин. У 20-34% женщин с рубцом на матке отмечается угроза прерывания беременности.

По данным S. Clark, почти в 10 раз увеличивается риск предлежания и истинного приращения плаценты.

Исследования Л.М. Комиссаровой и др. [4] указывают на то, что наименьший риск несостоятельности рубца имеется при последующей беременности в период от 1 до 4 лет после кесарева сечения.

Для исследования состояния рубца на матке наиболее приемлемым методом является УЗ-сканирование. Практически все исследователи отмечают высокую информативность этого метода.

Целью исследования явилась оптимизация тактики ведения женщин вне беременности на основании оценки отдаленных результатов операции кесарева сечения. Для осуществления поставленной цели изучали:

- женщин, которые в анамнезе имели операцию кесарева сечения;
- проводили оценку состояния нижнего сегмента матки у женщин с кесаревым сечением в анамнезе с использованием УЗИ (трансвагинальное и трансабдоминальное).

В результате имели возможность опередить основные принципы ведения этих женщин на различных этапах.

МАТЕРИАЛ И МЕТОДЫ

Работа выполнялась в Экспериментальном роддоме г. Тбилиси и в "Доме здоровья", где операция кесарева сечения проводилась по модицифированной методике, предложенной проф. А. Коридзе [5].

Проводили проспективное исследование 104 женщин. Пациенты были разделены на две группы. В I – основную группу входили пациенты, которые в анамнезе имели перенесенную операцию кесарева сечения (84 женщин) по модифицированной методике. Во II группу – группу сравнения (контрольная группа) вошли 20 женщин, которым операция была произведена по Гусакову-Занченко. В свою очередь, I – основная группа была подразделена на две подгруппы: в I вошли 54 женщин, которые были родоразрешены впервые путем модифицированной методики кесарева сечения; во II группу вошли 30 женщин, которым по анамнезу было произведено повторное кесарево сечение.

При обращении беременной собирали подробный общий и специальный анамнез, уделяя особое внимание технике предшествующей операции и интра- и послеоперационным осложнениям.

При осмотре обращали внимание на состояние послеоперационного рубца на передней брюшной стенке: его расположение, размеры, подвижность, плотность и ощущениям женщины при пальпации.

Ультразвуковое исследование проводили трансабдоминальным датчиком при частоте 3,5 МГц и влагалищным датчиком при частоте 35 МГц.

Для оценки состояния нижнего маточного сегмента УЗИ проводили при наполненном мочевом пузыре. К эхографическим признакам несостоятельности

ЭКАМЗЕРЕН
ОНБЕЛНПОЕЗЗ

нижнего маточного сегмента относили: толщину менее 2 мм и более 8 мм, кратерообразное истончение рубца, гиперэхогенные включения в области рубца.

Для оценки кровотока в области нижнего маточного сегмента применялась допплерометрия. Гемодинамику в "околорубцовой" зоне считали удовлетворительной при равномерном распределении цветовых сигналов.

Через год после кесарева сечения проводили УЗИ и гинекологический осмотр. Оценивалось состояние матки и придатков, их взаиморасположение, наличие признаков хронического воспаления, эндометриоза, менструальной функции и т.д. Особое внимание уделялось зоне рубца на матке, репродуктивной и сексуальной функциям.

Полученные данные обработаны методом вариационной статистики. Достоверность различий между сравниваемыми группами определяли с помощью критерия Стьюдента. Статистически значимыми считали отличия при $p \leq 0,05$.

РЕЗУЛЬТАТЫ И ИХ ОБСУЖДЕНИЕ

При оценке менструальной функции достоверных различий между подгруппами основной группы отмечено не было, у 3-х (15%) женщин в группе сравнения отмечались нарушения по типу гиперполименорреи.

После первого кесарева сечения пациентки не испытывали проблемы в сексуальной жизни.

В структуре гинекологических заболеваний во II группе женщин после повторного кесарева сечения обращало внимание впервые выявленный эндометриоз. Так, в I группе женщин этот показатель составлял 1 (1.19%), тогда как во II – 2 (10,0%).

Возраст обследованных женщин в основной группе колебался от 20 до 40 лет, составляя в среднем 30,0 ± 4,0 года. Более половины женщин (59,52%) находились в возрасте 25-33 года, во II группе – от 19 до 39 лет, в среднем 29,0 ± 4,2.

При анализе экстрагентитальной патологии был выявлен высокий уровень заболеваемости в обеих группах.

В анамнезе более чем у половины пациенток основной группы имели место медицинские аборты, самопроизвольные выкидыши; высокий процент наступления беременностей в течение первого и второго года после операции (42%), каждая пятая из которых заканчивалась медицинским абортом. Достоверного отрицательного влияния внутриматочных вмешательств между операциями на состояние рубца на матке выявлено не было.

Анализ катамнестических данных пациенток II подгруппы основной группы выявил, что:

- 99% пациенток не жалуются на боли в области малого таза и послеоперационные спайки;
- лишь одна (1,19%) пациентка обратилась в клинику с жалобами, характерными для эндометриоза;
- ни в одном случае не было зафиксировано грыжи, бесплодия и воспаление половых органов; 21 пациентка забеременела за 1,5 года после операции, 7 – за год, 2 – через 6 месяцев.

ეროვნული ბიბლიოთეკა

При анализе УЗИ основной группы пациенток особое внимание уделяли непрерывности переднего контура матки и описанию эхоструктуры всего нижнего сегмента.

Нормальная У-образная форма нижнего сегмента матки установлена у 79 (90,04%) из 84 обследованных пациенток, а у 5 (5,95%) – конусовидная.

Непрерывный передний контур матки отмечен у всех пациенток с полноценной зоной предыдущего разреза на матке.

Эхографически определяемая толщина полноценного нижнего сегмента матки составляла не менее 5-6 мм.

Нами почти у всех женщин с полноценным миометрием в зоне бывшего разреза была установлена однородная эхоструктура.

На основании анализа вышеперечисленных отдаленных показателей можно считать, что после проведения по предложенной модифицированной методике кесарева сечения толщина рубца остается нормальной, а рубец – полноценным. Соответственно, последующие роды допустимы через естественные родовые пути.

ЛИТЕРАТУРА

1. *Горбачева А.Н.* Автореф. дисс. канд. мед. наук, М., 2008.
2. *Комиссарова Л.М., Горбачева А.В. и др.* Акушерство и гинекология, 2008, 1, 40-44.
3. *Чернуха Е.А., Комиссарова А.Н., Шабанова А.В.* Мать и дитя. Мат. VI Российского форума (12-15 октября 2004), М., 2004, сс. 255-256.
4. *Чернуха Е.А., Белоусов Д.М. и др.* Мат. II Международного конгресса по репродуктивной медицине. М., 2008, сс. 81-82.
5. *Koridze A.Sh.* Ann. of Biomedical Res. Educ., 2004, 4, 3, 159-160.

მოდიფიცირებული საკეისრო კვეთის შორეული შედეგები

ნ. ჩერქეზიშვილი, ი. რუხაძე, დ. ჯინჭარაძე

პ. შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემია

რეზიუმე

წარმოდგენილ ნაშრომში მოყვანილია 104 პაციენტის საკეისრო კვეთის შემდგომი (3-4 წლის შემდეგ) შედეგები. მათ შორის 84 შემთხვევაში გამოყენებული იყო პროფ. ა. ქორიძის მიერ მოწოდებული მოდიფიცირებული მეთოდი. გამოკვლეული პაციენტები დაიყო 2 ჯგუფად. I – ძირითად ჯგუფში შევიდა 84 პაციენტი, რომელთაც ოპერაცია ჩატარებული ჰქონდათ მოდიფიცირებული მეთოდით, ხოლო II – საკონტროლო ჯგუფში შევიდა 20 ქალი, რომელთაც ოპერაცია ჩაუტარდათ გუსაკოვ-ზანნენკოს მეთოდით. თავის მხრივ, I ჯგუფის პაციენტები დაიყო 2 ქვეჯგუფად. I-ში შედიოდა 54 პაციენტი, რომელთაც საკეისრო კვეთის ოპერაცია ჩატარებული ჰქონდათ ერთჯერადად, ხოლო II ქვეჯგუფში – 30 ქალი, რომელთაც ოპერაცია ორჯერ ჰქონდათ ჩატარებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშვილოსნოს ნაწიბურის სრულფასოვნობის შეფასების მიზნით, ყველა პაციენტს დეტალური კლინიკურ-ლაბორატორიული კვლევის პარალელურად უტარდებოდა საშვილოსნოს ქვემო სეგმენტის ულტრაბგერითი კვლევა.

ანალიზით დადგენილია, რომ მოწოდებული მოდიფიცირებული საკეისრო კვეთის ოპერაციისშემდგომი ნაწიბურის სისქე ნორმალური რჩება, ხოლო თვით ნაწიბური – სრულფასოვანი. შესაბამისად, ამ პაციენტებში შემდგომი მშობიარობა დასაშვებია ბუნებრივი სამშობიარო გზებით.

THE FOLLOW-UP RESULTS OF MODIFIED METHOD OF CESAREAN SECTION

N. Cherkezishvili, I. Rukhadze, D. Jincharadze

P. Shotadze Tbilisi Medical Academy

SUMMARY

The analysis of the follow-up results (after 3-4 years) of 104 women is given, among them 74 patients were subjected to the operation of Cesarean section according to the method offered by Prof. A. Koridze.

The patients under the investigation were divided into 2 groups: 84 women made the first – principal group. They were operated according to the modified method, while 20 women in the second – control group were subjected to the operation according to Gusakov-Zanchenko method. In its turn, the main group was divided into two subgroups. The first subgroup made 54 women who had been first operated on Cesarean section and the second – 30 patients who were twice subjected to the operation.

With the aim of evaluation the position of the cicatrix on the uterus, along with detailed clinical investigation all patients were subjected to ultrasonographic study of the lower segment of the uterus.

Proceeding from the analysis of the data, it should be concluded that after the operation of Cesarean section carried out according to the modified method, the thickness of cicatrix remains normal and the cicatrix itself is perfect and therefore the following childbirth is permissible by natural way.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2009, ტ. 35, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2009, т. 35, № 5-6
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2009, vol. 35, No 5-6

ძუძუს კიბოს პრედიქტული და პროგნოზული მარკერების განსაზღვრა „CORE“-ბიოფსიით მიღებულ მასალაში

გ. ძაგნიძე, ვ. ნემსაძე, ნ. ქართველიშვილი, ე. არქანია, მ. ახალაძე, კ. ბურნაძე

ა. დვალიჩავას სახ. ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი, თბილისი

მიღებულია 14.07.2009

ნაშრომში განხილულია ძუძუს კიბოს პრედიქტული და უჯრედული მახასიათებლების გამოყენების მნიშვნელობა კლინიკურ პრაქტიკაში Core ბიოპტატისა და ოპერაციული მასალის იმუნოჰისტოქიმიური კვლევის შედეგების შედარების საფუძველზე. „Core“ ბიოფსიური ტექნიკის სანდოობის შეფასების მიზნით პრეოპერაციულ და პოსტოპერაციულ ბიოფსიურ მასალაში გაანალიზდა ესტროგენ-რეცეპტორების, PgR, Her2 და Ki67-ის ექსპრესიის მონაცემები იმ პრემენოპაუზური ასაკის ქალებში, რომელთაც აღენიშნებოდათ ძუძუს ER უარყოფითი კიბო (n = 27). „Core” ბიოფსიისა და ოპერაციული მასალის კვლევის შედეგებით აღინიშნება მონაცემების თანხვედრა: ჰისტოლოგიური ტიპის დადგენის მხრივ – 100%-ით, ER – 99% (r = 0,977), PgR – 97,1%, (r = 0,940), Her2/neu – 86,5% (r = 0,881), Ki67 – 96,5% (r = 0,901).

საკვანძო სიტყვები: „Core“ ბიოფსია, ძუძუს კიბო, ნეოადიუვანტური თერაპია, პრედიქტული და პროგნოზული მარკერები, ER, PgR, Her2/neu, Ki67

მას შემდეგ, რაც 1970 წ. Bolmgren et al. [2] სტერეოტაქსური ნემსით ძუძუს ქსოვილის აღების მეთოდი შემოიღო, „Core“ ბიოფსია გახდა მნიშვნელოვანი სადიაგნოსტიკო საშუალება როგორც პალპირებადი, ისე არაპალპირებადი ძუძუს დაავადებების გამოსავლენად [5, 7]. აღმოჩნდა, რომ სიმსივნური წარმონაქმნის ჰისტოტიპის განსაზღვრის გარდა, „Core“ ბიოფსიის საშუალებით შესაძლებელია მივიღოთ სრული ინფორმაცია დაავადების ბიოლოგიური მარკერების შესახებ, რომელთაც პირდაპირი კლინიკური ღირებულება გააჩნია გარკვეულ სიტუაციებში. ეს მეთოდიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პაციენტებისთვის, რომელთაც ძუძუს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავრცელებული ავთვისებიანი დაავადების გამო სჭირდებათ ნეოადიუვანტური სისტემური მკურნალობა [8].

პროგნოზული და პრედიქტული ფაქტორების შეფასება კლინიკურ პრაქტიკაში საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ინდივიდუალურად თითოეული პაციენტისთვის დეტალური ინფორმაცია დაავადების გამოსავლისა და სისტემური თერაპიის შესაძლო ეფექტურობის შესახებ [10].

ინვაზიური ძუძუს კიბოს მქონე პაციენტების მკურნალობის ტაქტიკის შერჩევისას მნიშვნელოვანია კიბოს უჯრედების სტეროიდული ჰორმონრეცეპტორული სტატუსის, ეპიდერმული ზრდის ფაქტორის რეცეპტორის – HER2/neu, პროლიფერაციის მარკერების, სიმსივნის სუპრესორული გენების, ₩68-ის შემცველობის, ციტოკერატინის ფენოტიპის შეფასება. ენდოკრინული თერაპია რეკომენდებულია პაციენტებისთვის ესტროგენ-რეცეპტორ დადებითი სიმსივნეებით, ხოლო ქიმიოთერაპია უფრო ხშირად ინიშნება ჰორმონ-რეცეპტორ უარყოფითი სიმსივნეებისა და/ან მაღალი რისკის მქონე ჰორმონ-რეცეპტორ დადებითი კიბოს შემთხვევაში. ამ მიზნით, მასალის არასრულფასოვნობის გამო არაინფორმაციული აღმოჩნდა კლასიკური, წვრილნემსოვანი ასპირაციული ბიოფსიის გამოყენება. დღის წესრიგში დადგა ახალი ბიოფსიური ტექნიკის დანერგვა. ამასთანავე, პრეოპერაციულ „Core" ბიოფსიურ მასალაში ჰორმონალური რეცეპტორების სტატუსის სარწმუნო შეფასება საშუალებას იძლევა განისაზღვროს საკვერცხეების აბლაციის ჩვენება, შესაბამისად ძუძუს კიბოს ქირურგიული მკურნალობა და აბლაციური ჰორმონოთერაპია, ქირურგიული ოვაროკასტრაციის სახით, შეიძლება ჩატარდეს ერთ მომენტად, რაც ამცირებს როგორც საერთო ოპერაციულ სტრესს, ასევე მკურნალობის ხარჯებს [7].

Sutela et al. [11] მიხედვით, „Core" ბიოფსიური ტექნიკა ასევე მაღალმგრძნობიარეა ძუძუს კიბოს იმუნოჰისტოქიმიური მარკერების შეფასებისას. 41 პაციენტზე ჩატარებული კვლევით თანხვედრის მაჩვენებელი სხვადასხვა მარკერების შესწავლისას შეადგენდა, შესაბამისად, ER – 83%, PgR – 88%, HER-2 – 88%. PgR შემთხვევაში ცდომილება გამოიხატებოდა „Core" ბიოპტატში ცრუ დადებითი ექსპრესიით (n = 5). ER შემთხვევაში (n = 7) ცრუ უარყოფითი მაჩვენებელი დაფიქსირდა 7 ცდომილებიდან 2 შემთხვევაში. მსგავსი ტენდენციები აღინიშნა HER-2 კვლევისას.

აღნიშნულ მონაცემებს ძირითადში ეთანხმება სხვა ავტორთა მონაცემებიც. თუმცა აღნიშნული კვლევების რაოდენობა მცირეა. ჯერ კიდევ არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები ბიოფსიის ამ მეთოდის სარწმუნობის შესახებ, ამიტომ საჭიროა გაგრძელდეს სამეცნიერო კვლევები ამ მიმართულებითაც.

პრეოპერაციულ და პოსტოპერაციულ ბიოფსიურ მასალაში გავაანალიზეთ ესტროგენ-რეცეპტორების Her2/neu და Ki67-ის ექსპრესიის მონაცემები. გადავწყვიტეთ შეგვესწავლა დიაგნოსტიკური „Core" ბიოფსიის პრედიქტული და პირველადი სიმსივნის უჯრედული მახასიათებლების კლინიკურ პრაქტიკაში გამოყენების მნიშვნელობა ბიოპტატისა და ოპერაციული მასალის იმუნოჰისტოქიმიური კვლევის შედეგების შედარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალა და მეთოდები

2000 წელს, ა. ღვამიჩავას სახ. ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის მამოლოგიური განყოფილების ბაზაზე ERα პრედიქტული მნიშვნელობის შესაფასებლად ჩატარდა რანდომიზებული ორმაგად ბრმა მულტიცენტრული კვლევა, სადაც შეფასდა ანტიესტროგენ ფულვესტრანტის 250 მგ დოზით ნეოადიუვანტურ რეჟიმში მოქმედების ეფექტი ძუძუს კიბოთი დაავადებულ პრემენოპაუზური ასაკის ქალებში.

რანდომიზაციის მიზნით, ERα დადებითი ძუძუს კიბოთი დაავადებული პაციენტების გამოსავლენად კვლევაში, პირველად საქართველოში გამოყენებულ იქნა „Core“ ბიოფსიური ტექნიკა. სულ გამოკვლეული იყო 106 პაციენტი. მათგან 79 პაციენტში „Core“ ბიოფსიურ მასალაში გამოვლინდა ER დადებითი ძუძუს კიბო.

„Core“ ბიოფსიური ტექნიკის სანდოობის შეფასების მიზნით პრეოპერაციულ და პოსტოპერაციულ ბიოფსიურ მასალაში გავაანალიზეთ ესტროგენ რეცეპტორების, PgR, Her2 და Ki67-ის ექსპრესიის მონაცემები იმ პრემენოპაუზური ასაკის ქალებში, რომელთაც აღენიშნებოდათ ER უარყოფითი ძუძუს კიბო (n = 27). ამ პაციენტებს არ ჩაუტარდათ ნეოადიუვანტური თერაპია და, შესაბამისად, კიბოს ქსოვილში არ უნდა შეცვლილიყო აღნიშნული მარკერების ექსპრესიის დონე.

ადგილობრივი გაუტკივარების შემდეგ, მანუალური და ექოსკოპიური კონტროლის ქვეშ ხდებოდა „Core“ ბიოფსია 14 gauge ბიოფსიური ნემსით და შესაბამისი ხელსაწყოს (Bard, Magnum მრავალჯერადი ბიოფსიური სისტემა) გამოყენებით. სიმსივნური კვანძიდან ხდებოდა მინიმუმ ორი ნიმუშის აღება. სიმსივნის ნიმუშების მიღება ხდებოდა აგრეთვე ქირურგიული მკურნალობისას. სიმსივნური ქსოვილის ნიმუშები ფიქსირდებოდა ნეიტრალურ ფორმალინში და ყალიბდებოდა პარაფინში. ზოგადმორფოლოგიურად ხდებოდა სიმსივნის ტიპის, გრეიდის, ამასთანავე ER, PgR, HER2/neu განსაზღვრა. იმუნოჰისტოქიმიური გამოკვლევა ტარდებოდა „ენმედიცისა“ და ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის პათომორფოლოგიურ ლაბორატორიებში. გამოყენებული იყო კომპანია DAKO-ს მონოკლონური ანტისხეულები. ვიზუალიზაცია ხდებოდა სტრეპტავიდინ-პეროქსიდული მეთოდით ქრომაგენის გამოყენებით. ექსპრესიის შეფასება მოხდა საყოველთაოდ გამოყენებული ალგორითმის მეშვეობით.

სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა SPSS 15.0 და SEER*Stat სტატისტიკური პროგრამული პაკეტების გამოყენებით.

შედეგები და მათი განხილვა

მიღებული მონაცემები მოცემულია ცხრილებში 1 და 2. ჩვენ მიერ მიღებული შედეგებით გამოვლინდა, რომ ყველაზე მაღალი თანხვედრის მაჩვენებელი „Core“ ბიოფსიასა და ოპერაციული მასალის გამოკვლევას შორის აღინიშნება ჰისტოლოგიური ტიპის დადგენის მხრივ, 100%-ით. რაც შეეხება ჰისტოლოგიური ხარისხის თანხვედრის მონაცემებს, იგი შედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებით დაბალი იყო (80,8%, r = 0,845). ტუბულების (სადინრების) ფორმირება, ბირთვების პლეომორფიზმი და მიტოზური ინდექსი, თანხვედრის მაჩვენებელი, შესაბამისად, უტოლდებოდა 83,7%-ს (r = 0,738), 77,9% (r = 0,737) და 59,6% (r = 0,701).

„Core" ბიოფსიით შეფასებული ER-სიმსივნეების ქირურგიულ მასალაში მხოლოდ 1,5%-ში აღმოჩნდა ER + სიმსივნე, რაც თანხვედრის მაჩვენებელს 99%-მდე (r = 0,977) ზრდის. შედარებით მცირე, მაგრამ კვლავ საკმაოდ მაღალი თანხვედრა იყო PR მხრივაც (97,1%, r = 0,940).

Her2/neu სტატუსმა შეადგინა 86,5% (r = 0,881), მიუხედავად მისი შეფასების სირთულისა.

პროლიფერაციის მარკერის Ki67-ის ექსპრესიის თანხვედრის მაჩვენებელი იყო 96,5% (r = 0,901).

ცხრილი 1

ჰისტოლოგიური გრეიდი (ჰისტოლოგიურ და „Core" ბიოფსიურ ნიმუშებში)

	Core ბიოფსია (%)	ქირურგიული მასალა (%)	თანხვედრის % / სპირმანის rho
	ჰისტოლოგიური გრეიდი		80,8% / 0,845
I	5 (18,52)	3 (11,11)	
II	10 (37,04)	9 (33,33)	
III	12 (44,44)	15 (55,56)	
	სადინრების ფორმირება		83,7% / 0,738
1	1 (3,70)	1 (3,70)	
2	7 (25,93)	6 (22,22)	
3	19 (70,37)	20 (74,07)	
	ბირთვების პლეომორფიზმი		77,9% / 0,737
1	2 (7,41)	1 (3,70)	
2	11 (40,74)	12 (44,44)	
3	14 (51,85)	14 (51,85)	
	მიტოზური ინდექსი		59,6% / 0,701
1	12 (44,44)	7 (25,93)	
2	10 (37,04)	10 (37,04)	
3	5 (18,52)	10 (37,04)	

ერთადერთი შედარებით მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც გვხვდება „Core" და ქირურგიულ ბიოფსიას შორის, წარმოადგენს სიმსივნის ავთვისებიანობის ხარისხი. ამიტომ, მისი განსაზღვრის დროს ძირითადად უნდა დავეყრდნოთ ოპერაციულ მასალას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 2

ჰორმონრეცეპტორების და HER2 სტატუსი (ჰისტოლოგიურ და „Core“ ბიოფსიურ ნიმუშებში)

	Core ბიოფსია (%)	ქირურგიული მასალა (%)	თანხვედრის % / სპირმანის rho
ER			99,0% / 0,977
პოზიტიური	0	1	
ნეგატიური	37	36	
PR			97,1% / 0,940
პოზიტიური	13 (37,04)	11 (40,74)	
ნეგატიური	23 (62,96)	16 (59,26)	
HER-2			86,5% / 0,881
0	3 (11,11)	5 (18,52)	
1+	8 (29,63)	9 (33,33)	
2+	10 (37,04)	8 (29,63)	
3+	6 (22,22)	5 (18,52)	

სხვა ავტორთა მონაცემები მცირედ განსხვავდება ჩვენ მიერ მიღებული თანხვედრის მაჩვენებლებისგან [3, 11], რაც შეიძლება გამოწვეული იყოს განსხვავებით როგორც ჰისტოპათოლოგიური ტექნიკის, ასევე „Core“ ბიოფსიური ნემსის დიამეტრისა და ნიმუშების რაოდენობას შორის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კვლევის და სხვა ავტორთა მონაცემები ადასტურებს „Core“ ბიოფსიური მასალის ადეკვატურობას პრეოპერაციულად სიმსივნის ჰისტოლოგიური ტიპისა და ხარისხის, ასევე სხვადასხვა მარკერების იმუნოჰისტოქიმიური შეფასებისთვის.

დასკვნა

პრეოპერაციულ „Core“ ბიოფსიურ მასალაში სიმსივნის ჰისტოლოგიური ტიპის, ხარისხის, ER, PR, Her2 და Ki67-ის სტატუსის შეფასება სარწმუნო, ადეკვატური და მაღალსპეციფიკური მეთოდია. მას ოპერაციულ ბიოფსიურ მასალის კვლევის შედეგებთან თანხვედრის მაღალი მაჩვენებლები ახასიათებს. ეს მეთოდი შესაძლებელს ხდის სწორად დაიგეგმოს ნეოადივანტური სისტემური თერაპია და განისაზღვროს საკვერცხეების აბლაციის ჩვენება, რომლის ქირურგიული ოვაროკასტრაციის სახით შესრულება შესაძლებელია ერთ მომენტად ძუძუს ქირურგიული მკურნალობისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა

1. *მჭედლიშვილი მ., თავზარაშვილი ი., კუპრაძე დ., გოიშვილი ნ., სუპატაშვილი თ., ჯანგავაძე მ.* იმუნოჰისტოქიმიურ მარკერთა ექსპრესიის თავისებურებანი ძუძუს კარცინოიდში. ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, 2005, №5 (24), გვ. 29-32.
2. *Bolmgren J., Jacobson B., Nordenstrom B.* Am. J. Roentgenol., 1977, 129, 121-125.
3. *Burge C., Chang H., Apple S.* The Breast, 2006, 15(2), 167-172.
4. *Cahill R., Walsh D., Landers R., Watson R.* Ann. Surg. Oncol., 2006, 13(1), 45-51.
5. *Ettine S., Place R., Babu S. et al.* Am. J. Surg., 1996, 171, 474-476.
6. *Park S., Kim K., Lee T.-G., Park S.-S., Kim S., Han W., Noh D.-Y., Kim S.-W.* Am. J. Surg., 2009, 197(2), 266-269.
7. Pijnappel R., van Dalen A., Borel Rinkes I. et al. Eur. J. Radiol., 1997, 24, 120-123.
8. *Rakha E., Eliis A.* J. Clin. Pathol., 2007, 60, 1300-1306.
9. *Robertson J., Semiglazov V., Nemsadze G., Dzagnidze G., Janjalia M., Nicholson R., Gee J., Armstrong J.* Eur. J. Cancer, 2007, 43(1), 64-70.
10. *Shannon J., Douglas-Jones A., Dallimore N.* J. Clin. Pathol., 2001, 54, 762-765.
11. *Sutela A., Vanninen R., Sudah M., Berg M., Kiviniemi V., Rummukainen J., Kataja V., Kärjä V.* Acta Oncologica, 2008, 47, 38-46.

ОПРЕДЕЛЕНИЕ ПРЕДИКТИВНЫХ И ПРОГНОСТИЧЕСКИХ МАРКЕРОВ РАКА МОЛОЧНОЙ ЖЕЛЕЗЫ В “CORE” БИОПТАТИЧЕСКОМ МАТЕРИАЛЕ

Г. Дзагнидзе, Г. Немсадзе, Н. Картвелишвили, Э. Архания, М. Ахаладзе, К. Бурнадзе

Национальный онкологический центр им. А. Гвамичава, Тбилиси

РЕЗЮМЕ

На основе сравнительного анализа данных иммуногистохимического исследования “Core” биопсионного и хирургического материала, рассмотрено значение использования в клинической практике предиктивных и прогностических маркеров рака молочной железы. С целью оценки достоверности данных техники “Core” биопсии в отмеченных материалах проанализированы рецепторы PgR, Her2 и Ki67 у 27 пременопаузальных пациенток с эстроген-рецептор негативным раком молочной железы. Результаты сравнительного анализа показали, что по гистологическому типу диагнозы совпали в 100%, ER – в 99% (r = 0,977), PgR – в 97,1%, (r = 0,940), Her2/neu – в 86,5% (r = 0,881), Ki67 – в 96,5% (r = 0,901).

ეროვნული ბიბლიოთეკა

INVESTIGATION OF PREDICTIVE AND PROGNOSTIC MARKERS OF BREAST CANCER USING "CORE" BIOPSY

G. Dzagnidze, G. Nemsadze, N. Kartvelishvili, E. Arkania, M. Akhaladze, K. Burnadze

A. Gvamichava National Cancer Center, Tbilisi

SUMMARY

Needle Core Biopsy (NCB) is now considered as an established, highly accurate method for diagnosing of breast cancer that has replaced either fine needle aspiration cytology or excision biopsy as the initial diagnostic biopsy procedures in many institutions. Besides establishing an accurate histological diagnosis, NCB can potentially provide important pathological prognostic information which may have direct clinical value in certain situations, such as in case of patients being considered for preoperative (neoadjuvant) therapy.

In the given study the precise preoperative profiling of breast tumors of 27 ER negative premenopausal patients were investigated. The histological type and grade (hematoxylin and eosin staining) and membrane receptor status (semiquantitative immunohistochemistry for estrogen (ER) and progesterone (PR) receptors, as well as Her-2 antigen expression) were assigned by the DCB before and after surgery. These measures were then compared with those of the definitive surgical specimen available after the operation. The results of this comparison are: histological type – 100%, ER – 99% (r = 0,977), PgR – 97,1%, (r = 0,940), Her2/neu – 86,5% (r = 0,881), Ki67 – 96,5% (r = 0,901).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2009, ტ. 35, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2009, т. 35, № 5-6
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2009, vol. 35, No 5-6

აზოტის ოქსიდის როლი მაკე ვირთაგვების მიომეტრიუმის კონტრაქტილურ აქტიურობაში

ხ. ხომასურიძე

პ. შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემია

მიღებულია 07.07.2009

კვლევის მიზანი იყო მიმომეტრიუმის კონტრაქტილობის ინჰიბირებაში აზოტის ოქსიდის დამოუკიდებელი როლის დადგენა.

In vitro ცდები ჩატარდა მაკე ვირთაგვების გესტაციის მე-18 დღეს მიომეტრიუმის იზოლირებულ და კრებსის ბიკარბონატულ ხსნარში მოთავსებულ გლუვკუნთოვანი შრის ზოლებზე.

L-არგინინის (L-Arg) და ნიტრო-L-არგინ მეთილ ესტერის (L-NAME) ზემოქმედებით გამოწვეული მიომეტრიუმის ზოლის იზომეტრული დაძაბულობის ცვლილება იზომებოდა მექანოტრონული დანადგარის მეშვეობით.

დადგინდა, რომ L-Arg-ის მოქმედების შედეგად სრულად დაითრგუნა მიომეტრიუმის ზოლის სპონტანური კონტრაქტილური აქტიურობა, ხოლო L-NAME-ს შეყვანამ ასევე სრულად მოახდინა ინჰიბიტორული მოქმედების რევერსი – კონტრაქტილური აქტიურობა კვლავ აღდგა. მხოლოდ L-NAME-ს მოქმედებამ მიომეტრიუმის ზოლის სპონტანური კონტრაქტილური აქტიურობა გაზარდა. ეს ფაქტები ნათლად ადასტურებს, რომ ინჰიბიცია გამოწვეული იყო აზოტის ოქსიდით. ვინაიდან არც L-Arg და არც L-NAME არ იწვევს ხსნარის ბუფერული თვისებების ცვლილებას, მიღებული ეფექტები ატარებს მხოლოდ აზოტის ოქსიდზე დამოკიდებულ სპეციფიკურ ხასიათს.

საკვანძო სიტყვები: მიომეტრიუმი, გესტაცია, კონტრაქტილური აქტიურობა, აზოტის ოქსიდი

ცნობილია, რომ არის რიგი ფაქტორები, რომლებიც თრგუნავს საშვილოსნოს კონტრაქტილურ აქტიურობას. მათი დომინირებით ორსულობისას საშვილოსნოს ფუნქციური მოსვენების შენარჩუნების პირობები იქმნება, ხოლო მშობიარობის მზადებისას კი ეს ფაქტორები მკვეთრად მცირდება და უკვე სხვა, შეკუმშვის მასტიმულირებელი ფაქტორები დომინირებს [მაჭამაძარიშვილი, 2002].

დღეისთვის გამოვლენილია რამდენიმე ისეთი ფაქტორი, რომლებიც ითვლება მიომეტრიუმის კონტრაქტილური აქტიურობის ინჰიბიტორად. მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგს მიეკუთვნება: კალციტონინის გენთან დაკავშირებული პეპტიდი (CGRP), ვაზოაქტიური ინტესტინალური პეპტიდი (VIP), რელაქსინი და აზოტის ოქსიდი. ითვლება, რომ აზოტის ოქსიდი (NO) განაპირობებს CGRP-ს ინჰიბიტორულ მოქმედებას, თუმცა არც მისი დამოუკიდებელი მოქმედებაა გამორიცხული. გამომდინარე ამ მოსაზრებიდან, ჩვენ მიზნად დავისახეთ აზოტის ოქსიდის დამოუკიდებელი როლის დადგენა მიომეტრიუმის კონტრაქტილობის დათრგუნვაში, რისთვისაც აუცილებლად ჩავთვალეთ in vitro ცდების ჩატარება, რათა მიომეტრიუმის იზოლირებულ ზოლებზე მოგვეხდინა აზოტის ოქსიდის დონრირით ან ინჰიბიტორით მოქმედება და სრულად გამოგვერიცხა სხვა რაიმე ფაქტორის მოქმედება.

მასალა და მეთოდები

გლუვი კუნთების ფუნქციის ანალიზის ერთ-ერთ ყველაზე ობიექტურ მეთოდად მიიჩნევენ იზოლირებული პრეპარატების კუმშვადობის პარამეტრების გაზომვას მექანოტრონული გარდამქმნელების მეშვეობით [1]. მეთოდი იძლევა საშუალებას გავზომოთ გლუვი კუნთის ტონუსის მომატების ან დაქვეითების ხარისხი მასზე სხვადასხვა სახის ზემოქმედების პირობებში. ამგვარი მეთოდური მიდგომის შედეგად შესაძლებელი ხდება გლუვი კუნთების რეგულაციის ზოგიერთი მექანიზმის ანალიზი მასში ცენტროგენური ნეიროჰუმორული სიგნალების ჩარევის გარეშე. იგი აგრეთვე ამოუწურავ საშუალებას აძლევს ექსპერიმენტატორს შეისწავლოს ბიოლოგიურად აქტიური სხვადასხვა ნივთიერებების თანმიმდევრული ან კომბინირებული ზემოქმედების ეფექტი გლუვი კუნთების რეაქტიულობაზე. დღემდე ასეთ მიდგომას წარმატებით იყენებდნენ როგორც სხვადასხვა ორგანოების შედარებით მსხვილი სისხლძარღვების ფუნქციის შესასწავლად, ისე მიომეტრიუმის კონტრაქტილურობის მექანიზმების კვლევისთვის [მამამთავრიშვილი, 1995].

ცდები ჩატარდა 300-350 გ მასის მქონე მაკე თეთრ ვირთაგვებზე (სულ 12 ცხოველი).

გესტაციის მე-18 დღეს ნემბუტალის ლეტალური დოზით ვახდენდით ცხოველთა ევთანაზიას. მიომეტრიუმიდან გამოიყოფოდა გლუვკუნთოვანი შრის ზოლები, რომლებიც დაუყოვნებლივ თავსდებოდა კრებსის ბიკარბონატულ ხსნარში. ცდის დაწყების წინ მიომეტრიუმის ზოლი თავსდებოდა გამზომი დანადგარის ორ კავზე, რომლებიც მოთავსებული იყო კრებსის თერმოსტატირებული სითხით შევსებულ მცირე ზომის გამდინარე კამერაში.

L-არგინინის და ნიტრო-L-არგინი მეთილ ესტერის ზემოქმედებით გამოწვეული მიომეტრიუმის ზოლის იზომეტრული დაძაბულობის ცვლილება იზომებოდა მექანოტრონული დანადგარის მეშვეობით. გლუვი კუნთების შეკუმშვის ან მოდუნების შედეგად გამოწვეული ტენზოგადამწოდების დეფორმაცია დანადგარის ელექტრულ წრედში აღირიცხებოდა სათანადო ელექტრული სიგნალის სახით და რეგისტრირდებოდა ქაღალდის რეგისტრატორზე. ცვლილებების კალიბრება ხდებოდა მილინიუტონებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზომვების დაწყებამდე წონასწორული მდგომარეობის მიღწევისთვის პრეპარატი დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში პერფუზირდებოდა კრებსის 37°C თერმოსტატირებული ხსნარით, რომელშიც საჭიროების მიხედვით ვამატებდით აზოტის ოქსიდის დონორს (L-არგინინი) ან მისი სინთაზას ინჰიბიტორს ნიტრო-L-არგინინ მეთილ ესტერს (L-NAME).

მიღებული მონაცემები გლუვი კუნთების დაძაბულობის დონის და ხანგრძლივობის შესახებ გამოისახებოდა საშუალო სიდიდეებით და სტანდარტული გადახრებით.

ექსპერიმენტში მიღებული რაოდენობრივი მონაცემები მუშავდებოდა სტიუდენტის t-ტესტის გამოყენებით. მიღებული შედეგი განიხილებოდა სტატისტიკურად სარწმუნოდ, როდესაც P იყო < 0.05.

შედეგები და მათი განხილვა

გესტაციის მე-18 დღეს მყოფი ვირთაგვას მიომეტრიუმის იზოლირებული ზოლის რეაქცია აზოტის ოქსიდის სინთაზას არასელექციური ინჰიბიტორის ნიტრო-L-არგინინ მეთილ ესთერის (L-NAME) და აზოტის ოქსიდის დონორის L-არგინინის უშუალო მოქმედებაზე წარმოდგენილია სურათებზე 1-4.

5 მმოლი L-NAME-ს დამატებამ კრებსის ხსნარში, როგორც ვხედავთ სურათზე 1, გამოიწვია მიომეტრიუმის ზოლის სპონტანური კონტრაქტილობის მკვეთრი გაძლიერება.



სურათი 1. აზოტის ოქსიდის სინთაზას არასელექციური ინჰიბიტორის ნიტრო-L-არგინინ მეთილ ესტერის (L-NAME) (5მმოლი) მოქმედების ეფექტი გესტაციის მე-18 დღეს იზოლირებული ვირთაგვას მიომეტრიუმის ზოლზე

აზოტის ოქსიდის დონორის L-არგინინის მოქმედების ეფექტი წარმოდგენილია სურათზე 2. როგორც ვხედავთ, L-არგინინის (0,5 მმოლი) ერთჯერადი შეყვანა პრაქტიკულად მყისიერად იწვევს მიომეტრიუმის ზოლის სპონტანური კონტრაქტილობის, დაახლოებით 2 წუთის ხანგრძლივობის, ინჰიბირებას, რის შემდეგ სპონტანური კონტრაქტილობა კვლავ აღდგება. თუ მიომეტრიუმის ზოლზე ვიმოქმედებთ L-არგინინის უფრო მაღალი დოზით (3 მმოლი), მაშინ ინჰიბირების ხანგრძლივობა საგრძნობლად იზრდება და საშუალოდ 8 წუთს აღწევს. მე-3 სურათზე წარმოდგენილია დამოკიდებულება L-არგინინის დოზასა და მის მიერ გამოწვეული მიომეტრიუმის ზოლის სპონტანური კონტრაქტილობის ინჰიბიციის ხანგრძლივობას შორის. როგორც ვხედავთ, L-არგინინის დოზის მატება თითქმის პირდაპირი პროპორციულობით იწვევს ინჰიბიციის ხანგრძლივობის ზრდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ L-არგინინით მოქმედების პროცესში მიომეტრიუმის ზოლზე ვიმოქმედებთ ნიტრო-L-არგინინ მეთილ ესტერით (სურ. 4), ინჰიბიციის ეფექტი ქრება და დაუყოვნებლივ კვლავ აღმოცენდება სპონტანური კონტრაქტილობა.



სურათი 2. L-არგინინით (0.5 მმოლი) გამოწვეული მიომეტრიუმის ზოლის სპონტანური კონტრაქტილობის ინჰიბიცია



სურათი 3. დამოკიდებულება L-არგინინის დოზასა და მის მიერ გამოწვეულ მიომეტრიუმის ზოლის სპონტანური კონტრაქტილობის ინჰიბიციის ხანგრძლივობას შორის



სურათი 4. L-არგინინით (3 მმოლი) გამოწვეული მიომეტრიუმის სპონტანური კონტრაქტილობის ინჰიბიციის შეწყვეტა ნიტრო-L-არგინინ მეთილ ესტერით (5 მმოლი)

მიღებული შედეგები ნათლად ადასტურებს აზოტის ოქსიდის მნიშვნელოვან როლს საშვილოსნოს კონტრაქტილობის რეგულაციაში. ამდენად, ჰიპოთეზა, რომელიც აზოტის ოქსიდის ამ ეფექტს უკავშირებდა კალციტონინის გენთან დაკავშირებული პეპტიდის (CGRP) მოქმედების მექანიზმს და გამორიცხავდა NO-ს დამოუკიდებელ მოქმედებას, გამართლებული არ არის. ამის შესახებ ჩვენს ადრინდელ ნაშრომშიც იყო მინიშნებული [2]. როგორც ვნახეთ, აზოტის ოქსიდის დონორის L-არგინინის მოქმედების შედეგად სრულად დაითრგუნა გესტაციის მე-18 დღეს იზოლირებული ვირთაგვას მიომეტრიუმის ზოლის სპონტანური კონტრაქტილური აქტიურობა, მოხდა ქსოვილის მნიშვნელოვანი რელაქსაცია. ეს ეფექტი ანალოგიურია იმისა, რაც აღწერილი იყო სისხლძარღვთა [4, 7] და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის [4, 7] გლუვ კუნთებთან დაკავშირებით. ნიტრო-L-არგინინ მეთილ ესტერის (აზოტის ოქსიდის სინთაზას არასელექციური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინჰიბიტორი) შეყვანამ ასევე სრულად მოახდინა L-არგინინის ინჰიბიტორული მოქმედების რევერსი – კონტრაქტილური აქტიურობა კვლავ აღდგა. როდესაც ჩვენ მხოლოდ L-NAME-თი ვიმოქმედეთ, როგორც სურ. 1-ზე ჩანს, მიომეტრიუმის იზოლირებული ზოლის სპონტანური კონტრაქტილური აქტიურობა გაიზარდა. ეს ფაქტები ნათლად ადასტურებს, რომ ინჰიბიცია გამოწვეული იყო L-არგინინიდან გენერირებული აზოტის ოქსიდით. აზოტის ოქსიდის მოქმედების ანალოგიური ეფექტები აღწერილია სხვა გლუვკუნთოვან ქსოვილებთან მიმართებაშიც [7, 8, 9, 10]. L-არგინინის მინიმალურმა დოზამ, რომელზეც მიღწეული იყო სრული ინჰიბიტორული ეფექტი, ჩვენს ცდებში შეადგინა 0,3 მმოლი, რაც სავსებით თავსდება ფიზიოლოგიურ დიაპაზონში. ცნობილია, რომ ვირთაგვას შრატში L-არგინის შემცველობა 0,2-3 მმოლის ფარგლებშია [5]. გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ როგორც L-არგინინის, ისე L-NAME-ს 10 მმოლამდე დამატება კრებსის ხსნარში არ ცვლის მის pH-ს, ამდენად მათი ეფექტი ატარებს მხოლოდ სპეციფიკურ ხასიათს და არ არის გაშუალედებული ხსნარის ბუფერული თვისებების ცვლილებით. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ, არ არის გასაკვირი ის ფაქტი, რომ ორსულობის მესამე ტრიმესტრში ორგანიზმში მკვეთრად მატულობს აზოტის ოქსიდის პროდუცირება [3, 11], რაც კვლავ ნორმის ფარგლებს უბრუნდება მშობიარობის პროცესსა და მის შემდგომ პერიოდში.

ლიტერატურა

1. *Берлин Г.С., Петров А.Г., Харкевич Д.А., Шорр В.А.* Бюлл. эксперим. биол. и медицины, 1979, 88, 11, 626-629.
2. *Григорашвили Е., Хомасуридзе Х., Мамамтавришвили И., Кинтрая Н., Бекая Г.* Georgian Medical News, 2003, 11, 104, 78-82.
3. Boccardo P., Soregaroli M., Aiello S., Noris M., Donadelli R., Lojacono A., Benigni A. Br. J. Obstet. Gynaecol., 1996, 103, 879-886.
4. *Ignarro L.G.* Biochem. Pharmacol., 1991, 41, 485-490.
5. *Langrehr J.M., Dull K.E., Ochoa J.B., Billiar T.R., Ildstad S.T., Schraut W.H., Simmmons R., Hoffman R.A.* Transplan., 1992, 53, 3, 632-640.
6. *Li C.G., Rand M.J.* Br. J. Pharmacol., 1991, 102, 91-94.
7. *Moncada S., Palmer R., Higgs E.* Pharmacol Rev., 1991, 43, 109-142.
8. *Moncada S., Rees D.D., Schulz R., Palmer R.* Proc. Natl. Acad. Sci. USA, 1991, 88, 2166-2170.
9. *Ozaki H., Blondfield D., Hori M, Publicover N., Kata I., Sanders K.M.* J. Physiol., 1992, 445, 231-247.
10. *Rees D.D., Palmer R., Moncada S.* Proc. Natl. Acad. Sci. USA, 1989, 86, 3375-3378.
11. *Salas S.P.* Biol. Res., 1998, 31, 243-250.

ეროვნული ბიბლიოთეკა

РОЛЬ ОКСИДА АЗОТА В КОНТРАКТИЛЬНОЙ АКТИВНОСТИ МИОМЕТРИЯ БЕРЕМЕННЫХ КРЫС

Х. Хомасуридзе

Тбилисская медицинская Академия им. П. Шотадзе

РЕЗЮМЕ

Цель исследования – установить независимую роль оксида азота в ингибировании контрактильной активности миометрия. In vitro опыты проведены на гладкомышечных полосках миометрия беременных крыс, изолированных на 18-ый день гестации и помещенных в бикарбонатный раствор Кребса. Измерения изометрического напряжения полоски миометрия при воздействии L-аргинином (L-Arg) и нитро-L-аргинин метил эстером (L-NAME) проводили посредством механотронной установки. Было установлено, что в результате действия L-Arg спонтанная контрактильная активность полоски миометрия полностью была ингибирована, а введение L-NAME, так же полностью устранило ингибиторный эффект – контрактильная активность вновь возобновилась. Введение только L-NAME обусловило усиление спонтанной контрактильной активности. Эти факты наглядно демонстрируют, что ингибиция была вызвана оксидом азота. Так как ни L-Arg, ни L-NAME не меняют буферные свойства раствора Кребса, можно утверждать, что полученные эффекты носят лишь зависимый от оксида азота специфический характер.

ROLE OF NITRIC OXIDE IN THE CONTRACTILE ACTIVITY OF MYOMETRIUM IN PREGNANT RATS

Kh. Khomasuridze

P. Shotadze Tbilisi Medical Academy

SUMMARY

The purpose of the study was to establish the independent role of nitric oxide in inhibition of myometrial contractile activity. In vitro the experiments were carried out on smooth muscle strips of pregnant rats' myometrium, isolated on the 18th day of gestation and placed in Krebs bicarbonate solution. The measurements of strips isometric tension under the influence of L-arginine (L-Arg) and Nitro-L-arginine Methyl Ester (L-NAME) has been conducted by mechanotronic device. It was found that L-Arg causes complete inhibition of spontaneous contractile activity of the rats' myometrial strips, but the administration of L-NAME, eliminates the inhibitory effect – contractile activity was restored. Single L-NAME administration resulted in enhancement of spontaneous contractile activity. These facts demonstrate that the inhibition was caused by nitric oxide. Because, neither L-Arg, nor L-NAME changes the buffer properties of Krebs solution, it can be argued that the obtained effects are only dependent on the specific action of nitric oxide.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2009, ტ. 35, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2009, т. 35, № 5-6
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2009, vol. 35, No 5-6

ფილტვის ადგილობრივად გავრცელებული პერიფერიული კიბოს ინვაზიის სხივური დიაგნოსტიკა

ზ. ჯეჯელავა, ვ. კუჭავა, ფ. თოდუა, რ. გაგუა, ლ. ვ ზარიშვილი

ა. ღვამიჩავას სახ. ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი, თბილისი

მიღებულია 26.08.2009

ფილტვის ადგილობრივად გავრცელებული პერიფერიული კიბოს ინვაზიის შეფასებაში წამყვანი როლი კომპიუტერულ ტომოგრაფიას ეკუთვნის. აღნიშნული მეთოდი მაღალეფექტურია სიმსივნის მედიასტინური და დიაფრაგმული ინვაზიებისა და მედიასტინური კომპრესიის დიაგნოსტიკაში. გულმკერდის კედელში სიმსივნის ჩაზრდისა (პარიეტული ინვაზია) და გულმკერდის კედლის სიმსივნეების დიფერენციირებაში აღნიშნული მეთოდი შედარებით დაბალეფექტურია.

საკვანძო სიტყვები: ფილტვის კიბო, ინვაზია, სხივური დიაგნოსტიკა

ფილტვის ადგილობრივად გავრცელებული პერიფერიული კიბოს მკურნალობის ეფექტურობა უშუალოდაა დამოკიდებული როგორც სიმსივნური პროცესის დროულ დიაგნოსტირებაზე, ასევე მისი გავრცელების საზღვრების დადგენაზე.

ფილტვის პერიფერიული კიბოს დიაგნოსტიკაში ძირითადია კვლევის რენტგენოლოგიური მეთოდები. მიმოხილვით რენტგენოგრამებზე შეისწავლება სიმსივნის ზომა, ფორმა, ლოკალიზაცია, რენტგენოტომოგრამებზე – მისი კონტურები და სტრუქტურა. ხშირად დიაგნოზის დასასმელად აღნიშნული მონაცემები საკმარისია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურაში საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი ფილტვის პერიფერიული კიბოს რენტგენოლოგიური სემიოტიკა, არცთუ ისე იშვიათია დიაგნოსტიკური შეცდომები, რაც ხშირად მკურნალობის დაგვიანების, ან არასწორი სამკურნალო ტაქტიკის შერჩევის მიზეზს წარმოადგენს. რაც შეეხება კვლევის ენდოსკოპიური, კერძოდ ბრონქოსკოპიული მეთოდის შესაძლებლობებს, ისინი ფილტვის პერიფერიული კიბოს დიაგნოსტიკაში შედარებით შეზღუდულია, ვინაიდან აღნიშნული გამოკვლევის დროს პრაქტიკულად შეუძლებელია ბრონქული ხის მთლიანად დათვალიერება და თუ არ მოხდა სიმსივნის ცენტრალიზაცია (მსხვილი ყალიბის ბრონქში ჩაზრდა), მოცემული მეთოდით დიაგნოზის დასმა ვერ მოხერხდება. თითქმის იგივე შეიძლება ითქვას დიაგნოსტიკის, რენტგენოკონტრასტულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ანგიოგრაფია, პნევმომედიასტინოგრაფია და ა.შ.) მეთოდებზე, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს სიმსივნური პროცესის გავრცელების ხარისხი, მაგრამ არაინფორმატულია პათოლოგიური კერის ბუნებისა და სტრუქტურის განსაზღვრისას. ანალოგიური "ნაკლი" გააჩნია კვლევის ბრონქოგრაფიულ მეთოდსაც. პუნქციური ბიოპტატის, ბრონქული ხის ამონარეცხისა და ნახველის ციტოლოგიური კვლევა ყოველთვის ვერ იძლევა საჭირო ინფორმაციას, რაც პირველ შემთხვევაში განპირობებულია საკვლევი მასალის აღებასთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემებით (ყოველთვის არ არის გარანტირებული საპუნქციო ნემსის სიმსივნეში მოხვედრა, ან საჭირო რაოდენობით მასალის აღება), ხოლო დანარჩენ ორ შემთხვევაში მეთოდი დაბალეფექტურია არაცენტრალიზებული პერიფერიული სიმსივნეების დიაგნოსტიკაში, ვინაიდან ასეთ შემთხვევებში ნახველსა და ამონარეცხ წყლებში სიმსივნური უჯრედები არ ვლინდება.

უკანასკნელ წლებში ფილტვის პერიფერიულ სიმსივნეთა დიაგნოსტიკაში წამყვანი როლი კომპიუტერულ ტომოგრაფიას ეკუთვნის. აღნიშნული გამოკვლევა საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას წარმონაქმნის ხუსტი რენტგენოლოგიური გამოსახულება, განისაზღვროს სიმსივნის დამოკიდებულება სხვადასხვა ინტრათორაკალურ სტრუქტურებთან, შეფასდეს გულმკერდშიდა ლიმფური კვანძების მდგომარეობა [1].

კომპიუტერული ტომოგრაფია საშუალებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს სიმსივნის ადგილობრივი გავრცელების ისეთი სახეები, როგორიცაა მისი უშუალო ინვაზია გულმკერდის კედელში, შუასაყრის სტრუქტურებში, დიაფრაგმაში, რაც რუტინული რენტგენოლოგიური მეთოდებით შედარებით გაძნელებულია. ამასთან, კომპიუტერული ტომოგრაფია შესაძლებელს ხდის სტრუქტურული შეფასება მიეცეს წარმონაქმნს, გამოვლინდეს მასში მცირე ზომის გაკირული და ნეკროზული უბნები.

ფილტვის პერიფერიული კიბოს ადგილობრივი გავრცელების ყველაზე ხშირ სახეს გულმკერდის კედელში მისი ინვაზია წარმოადგენს. შედარებით იშვიათია სიმსივნის ინვაზია მედიასტინურ სტრუქტურებსა და დიაფრაგმაში. შესაბამისად, ფრიად მნიშვნელოვანია სიმსივნის როგორც კოსტალურ, ასევე მედიასტინურ და დიაფრაგმულ პლევრასთან დამოკიდებულების დადგენის საკითხი, რაც გულისხმობს პლევრის სიმსივნური ინვაზიის ხარისხისა და ხასიათის განსაზღვრას და სიმსივნის ტრანსპლევრული გავრცელების დიაგნოსტირებას. ყოველივე აღნიშნულის დასადგენად ჩვენ მიერ გაანალიზებულია სიმსივნური ინვაზიის ისეთი კომპიუტერული ტომოგრაფიული სიმპტომები, როგორიცაა "პლევრული თითის" სიმპტომი, სიმსივნის ფართო ფუძით პლევრასთან კონტაქტირებისა და მასთან გლუვი კუთხის შექმნის სიმპტომი და ნეკნთა დესტრუქციის სიმპტომი.

კომპიუტერული ტომოგრაფია საშუალებას იძლევა შესწავლილი იყოს სიმსივნესა და კოსტალურ პლევრას შორის არსებული ფილტვის პარენქიმის მდგომარეობა. 43 შემთხვევაში ნანახი იქნა (57,3% 43-75-დან) სიმსივნიდან კოსტალური პლევრისკენ მიმავალი "ბილიკი" და პლევრის ლოკალური რეაქცია, რაც ამ უკანასკნელის გასქელებასა და გამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვრივებაში გამოიხატა. ეს ნიშანი უცხოურ ლიტერატურაში "პლევრული თითის" სახელწოდებითაცაა ცნობილი. რენტგენოტომოგრამებზე ამ სიმპტომის დადგენის სიხშირე თითქმის 3-ჯერ ნაკლებია კომპიუტერულ ტომოგრაფიასთან შედარებით.

ფილტვის პერიფერიული კიბოს მეზობელ სტრუქტურებში ჩაზრდის დიაგნოსტირებაში კომპიუტერული ტომოგრაფიის ეფექტურობის შესწავლისას გაირკვა, რომ იმ 13 ავადმყოფიდან, რომელთაც კვლევის მოცემული მეთოდით დაუდგინდათ პარიეტული პლევრის დაზიანება სიმსივნის ღრმა ინვაზიით, 4-ს ოპერაციის დროს აღენიშნა პროცესის მხოლოდ ვისცერულ პლევრაზე გავრცელება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ სიმსივნის პარიეტულ პლევრაში ინვაზიის ისეთი დამახასიათებელი სიმპტომები, როგორიცაა სიმსივნის ფართო ფუძით კონტაქტირება პლევრასთან და ამ უკანასკნელთან გლუვი კუთხის არსებობა, ყოველივის ზუსტად ვერ განსაზღვრავს სიმსივნური პროცესის გავრცელების ხარისხს და რიგ შემთხვევაში (30,8%-ში 4-13-დან) იძლევა "ღრმა ჩაზრდის" მცდარ ვიზუალურ ეფექტს.

ფილტვის პერიფერიული კიბოს ტრანსპლევრული ინვაზია გულმკერდის კედელში აღინიშნა 9 შემთხვევაში, ამათგან 3-ში ადგილი ჰქონდა ნეკნების დესტრუქციასაც. ყველა შემთხვევაში გამოხატული იყო სიმსივნის პლევრასთან ფართო ფუძით კონტაქტირება და მასთან გლუვი კუთხის არსებობა. 9-ეე შემთხვევაში ინვაზიის მასშტაბი სწორად იქნა შეფასებული, რაც შემდგომ დადასტურდა ოპერაციულად. ნეკნების დესტრუქციის შემთხვევებში ფრიად მნიშვნელოვანია მათი სიმსივნური ინვაზიის ჭეშმარიტი საზღვრების ცოდნა. სიმკვრივის გრადაციის მიმართ კომპიუტერული ტომოგრაფიის მაღალმა მგრძნობელობამ საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა, რომ სიმსივნური ინვაზიის ჭეშმარიტი საზღვრები 0,9-1,4 სმ-ით სცილდება ნეკნთა დაზიანების ვიზუალურ საზღვრებს, რაც ნორმალურ ქსოვილთან შედარებით ინვაზირებული უბნის შედარებით დაბალი სიმკვრივით ვლინდება. ეს მოსაზრება დადასტურებულია ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში ჩატარებული დაზიანებული ნეკნების სერიული ანათლების ჰისტომორფოლოგიური კვლევით. რიგ შემთხვევაში ადგილი აქვს ფილტვის პერიფერიული კიბოს ტრანსპლევრულ ჩაზრდას შუასაყარში. სიმსივნის ამგვარი ინვაზიისას რენტგენოგრამებზე, არცთუ იშვიათად, შუასაყარის სიმსივნის მცდარი ვიზუალური ეფექტი ისახება, რაც სიმსივნისა და შუასაყარის რენტგენოლოგიური გამოსახულებების სუმაციითაა განპირობებული. კლასიკური რენტგენოგრაფია ასახავს შუასაყრის სტრუქტურათა ზედდებული ჩრდილების ერთობლივ გამოსახულებას. მისგან განსხვავებით, კომპიუტერული ტომოგრაფია შუასაყრის ცალკეულ ელემენტთა დანაწევრებული ვიზუალიზაციის საშუალებას იძლევა. სწორედ ეს განაპირობებს მის უპირატესობას რენტგენოგრაფიასთან შედარებით. რენტგენოგრაფიით პრაქტიკულად შეუძლებელია ტრანსპლევრული მედიასტინური ინვაზიის დაბეჯითებით დადასტურება ან უარყოფა. ფილტვის პერიფერიული კიბოს პარამედიასტინური ლოკალიზაციისა და მის შუასაყარზე მხოლოდ კომპრესიისას რენტგენოგრამებზე ვლინდება შუასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყარისა და სიმსივნური ჩრდილების შერწყმა შუასაყარის ცდომით კონტრალატერალურ მხარეზე. ზუსტად იგივე ნიშნით ვლინდება კიბოს შუასაყარში ღრმა ინვაზიაც.

კომპიუტერული ტომოგრაფია სტრუქტურულ შეფასებას აძლევს შუასაყარის ყველა ანატომიურ ერთეულს და ადვილად ავლენს შუასაყარისა და პლევრის ღრუს გამყოფ ექსტრაპლევრულ ცხიმოვან შრეს. სწორედ ამ შრის მდგომარეობისა და სიმსივნის ამ უკანასკნელთან დამოკიდებულების შესწავლით შესაძლებელია როგორც ფილტვის პერიფერიული კიბოს შუასაყარში ჩაზრდისა და მასზე კომპრესიის დიფერენცირება, ასევე შუასაყარში ინვაზირებული კიბოსა და შუასაყრის სიმსივნეთა შორის დიფერენციალური დიაგნოზის გატარებაც.

ექსტრაპლევრული ცხიმოვანი შრის განლევა შუასაყარზე კომპრესიის დამაჯერებელი ნიშანია, ხოლო მისი არარსებობა სიმსივნის შუასაყარში ჩაზრდაზე მიუთითებს. ამ ნიშნის დადგენა კლასიკური რენტგენოლოგიური კვლევით შეუძლებელია.

კომპიუტერული ტომოგრაფია ავლენს სიმსივნის დამოკიდებულებას შუასაყარის ცალკეულ ელემენტებთან (სისხლძარღვები, ტრაქეა, საყლაპავი და სხვ.), ასევე შუასაყარისა და პლევრის ღრუს გამყოფ ცხიმოვან შრესთან. სიმსივნის მითითებული შრის მიმართ მედიალური ლოკალიზაცია მიუთითებს ახალწარმონაქმნის შუასაყარიდან გამომდინარეობაზე, ხოლო ლატერალური – ფილტვის სიმსივნეზე. ამ პათოლოგიათა შორის დიფერენციალური დიაგნოზის გატარებისას ასევე ფრიად მნიშვნელოვანია შუასაყარის ცალკეულ ორგანოთა ცდომის მიმართულების ცოდნაც. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ფილტვის კიბოს ჩაზრდას შუასაყარში, ამ უკანასკნელის ყველა კომპონენტი დისპოზიციებულია ერთი მიმართულებით – ჯანმრთელი ფილტვისკენ, რაც აღნიშნულ კომპონენტთა ერთმანეთთან მეტნაკლებად დაახლოებას იწვევს, შუასაყარი უფრო "კომპაქტური" ხდება. მედიასტინური სიმსივნეები კი უპირატესად იწვევენ ამ ორგანოებზე სხვადასხვა მიმართულებით ზეწოლას, რაც შუასაყარის გაფართოებაში აისახება. მითითებულ ნიშანთა გამოვლენა რუტინული რენტგენოლოგიური მეთოდებით პრაქტიკულად შეუძლებელია [5].

8 ავადმყოფიდან, რომლთაც კომპიუტერული ტომოგრაფიით დაუდგინდა ფილტვის პერიფერიული კიბოს ჩაზრდა შუასაყარში, 2-ს ოპერაციამდე ჩატარებული რენტგენოგრაფიული და რენტგენოტომოგრაფიული კვლევით დაესვა შუასაყარის სიმსივნის მცდარი დიაგნოზი. ყველა შემთხვევაში დიაგნოზი დადასტურდა ოპერაციულად.

ბევრად უფრო რთული და ფაქტიურად შეუძლებელი აღმოჩნდა კედლისმიერი ლოკალიზაციის ფილტვის პერიფერიული კიბოსა და პლევრის სიმსივნეებს შორის დიფერენციალური დიაგნოზის გატარება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი ჰქონდა პარიეტულ პლევრაში კიბოს ჩაზრდას. პლევრის სიმსივნეებისას კომპიუტერული ტომოგრაფიით ვლინდება სიმსივნის ფუძესთან გლუვი კუთხის არსებობა [3]. ანალოგიური ნიშანი ახასიათებს გულმკერდში ჩაზრდილ პერიფერიულ კიბოსაც. კედლისმიერი ლოკალიზაციის ფილტვის კიბო, თუ იგი არაა ინვაზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული გულმკერდის კედელში, ხასიათდება მითითებული კუთხის შედარებითი "სიმახვილით", სამწუხაროდ, ეს ნიშანი ყოველთვის სწორად ვერ ასახავს სიმსივნის გულმკერდის კედელთან დამოკიდებულების ჭეშმარიტ ხასიათს. ფილტვის პერიფერიული კიბოს 2 შემთხვევა სწორედ ამ ნიშნის არსებობის გამო შეფასდა, როგორც ლოკალური კიბო. დიაგნოზის სიმცდარე ორივე შემთხვევაში გაირკვა ოპერაციულად, ვინაიდან ადგილი ჰქონდა სიმსივნის ტრანსპლვურულ ინვაზიას.

